ჰ.ფ. ლავკრაფტის გოთიკური პოეტიკის სპეციფიკა

ბექა ბერიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისურ ფილოლოგიაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნინო თევდორაძე**

ფილოლოგიის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტის გოთიკური პოეტიკის სპეციფიკის შესწავლას - იმის დადგენას, თუ რა დოზით მიჰყვებოდა ის მისი წინამორბედების მიერ დროთა განმავლობაში შექმნილ არაფორმალურ ნორმებსა და ტენდენციებს გოთიკურ ლიტერატურაში და თავად რა სიახლეები დანერგა მან, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა და სახელოვანმა ავტორმა მასში. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის პირველ ნაწილში იდენტიფიცირებული, აღწერილი და გაანალიზებულია ყველაზე პოპულარული და გავლენიანი გოთიკური ნაწარმოებები და მათი ავტორების სტილი ქრონოლოგიის დაცვით - დაწყებული 1764 წელს გამოცემული ჰორას უოლპოლის The Castle of Otranto-დან, დამთავრებული მე-19 საუკუნის შუა ნაწილით და ედგარ ალან პოს - როგორც ჟანრში დიდი ცვლილებების შემომტანი ავტორის - გოთიკური მოთხრობებით. იდენტიფიცირებულია ის ოთხი ძირითადი მახასიათებელი, რომელიც გოთიკური ნაწარმოებების უდიდეს ნაწილში გვხვდება და ნაშრომის ამ ნაწილში მოხმობილი თითოეული ნაწარმოების შემთხვევაში იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია ის, თუ კონკრეტულად მათში რა სახით ვლინდება ეს მახასიათებლები.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე ნაწილში იმავე სქემის მიხედვით, როგორც პირველ ნაწილში გაანალიზებულია ჰ.ფ. ლავკრაფტის შემოქმედება - მისი რამოდენიმე პოპულარული მოთხრობა და ამავდროულად ნაჩვენებია ის, თუ თითოეული მათგანის შემთხვევაში რა მახასიათებლები არის დატოვებული ტრადიციული გოთიკური ლიტერატურიდან მეტნაკლებად ხელუხლებელი და რა შემთხვევაში უხვევს მწერალი ათწლეულების მანძილზე მისი წინამორბედების მიერ ჩამოყალიბებულ სტილს. დადგენილ იქნა, რომ ის ტრადიციული, გოთიკური ლიტერატურისთვის ყველაზე მეტად გავრცელებული მახასიათებლები - სპეციფიკური მოქმედების ადგილი, ზებუნებრივი მოვლენები/არსებები, შიშის ფაქტორი და ოჯახის ბნელი საიდუმლო - დიდწილად მის ნაწარმოებებშიც გვხვდება, მაგრამ ძირეულად სახეცვლილი. მას არ აქვს გამოყენებული ტრადიციული

გოთიკური ნაწარმოებებისთვის სტერეოტიპული არცერთი უარყოფითი პერსონაჟი (ვამპირი, ჯადოქარი, მაქცია, მოჩვენება, გარდაცვლილი ადამიანის სული და ა.შ.) საკუთარ მოთხრობებში, ამიტომ გოთიკურ ლიტერატურაში მანამდე დამკვიდრებულ სტილთან ან ნებისმიერ წინამორბედ ავტორთან ლავკრაფტის შემოქმედების მსგავსება მხოლოდ ზედაპირულია. ეს დასტურდება ე.წ. კოსმიური ჰორორის არსებობითაც (cosmic/lovecraftian horror), რომელიც მთლიანად ლავკრაფტის შემოქმედების ნაყოფია. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში სწორედ ეს და მწერლის არაანთროპოცენტრისტული მსოფლმხედველობაა განხილული, რითიც ის ასევე გამოირჩევა წინამორბედებისგან.

პ.ს. ინგლისურენოვანი ციტატების ყველა თარგმანი ქართულ ენაზე ჩემს მიერაა შესრულებული

საკვანძო სიტყვები: ლავკრაფტი, გოთიკური ლიტერატურა, კოსმიური ჰორორი, ანთროპოცენტრიზმი.

Abstract

This paper aims to study the specificity of gothic poetics of Howard Phillips Lovecraft - to ascertain to what degree he followed the non-formal norms and tendencies of gothic literature, formed over time by his predecessors and what innovations he – one of the most prominent authors of this genre/sub-genre – brought to it. For this purpose the most popular and influential gothic tales, as well as the style of their authors are identified, described and analyzed in chronological order in the first part of this paper – starting from The Castle of Otranto (1764) by Horace Walpole up until the mid-19th century ending with the gothic short stories of Edgar Allan Poe – the author that significantly altered the genre. The four main features, characteristic of a large majority of the gothic tales are identified and in the case of each tale mentioned in this part of the paper the specific manifestations of these main, traditional features of the gothic novel are identified and analyzed.

In the second part of this paper, following the same pattern as in the first part are analyzed the works by H.P. Lovecraft – several of his popular short stories and in the case of each one is shown when the characteristics of the traditional gothic literature remain largely unchanged in them and when the author diverges from the style estabilished by his predecessors for many decades. As it had been found out, the traditional characteristics of gothic literature – specific setting, supernatural phenomenons/creatures, fear factor and dark family secrets – all occur in his tales, albeit much changed. He never used a single stereotypical villain of gothic literature (vampires, witches, werewolves, ghosts, apparitions of the dead etc.) in any of his short stories, therefore any likeness of Lovecraft's works with that of his predecessors and their styles is purely superficial. Further proof of this is the existence of cosmic/lovecraftian horror – the brainchild of Lovecraft. This and the non-anthropocentric worldview of the author is discussed in the last part of the paper, which also distinguishes him from his predecessors.

P.S. In all instances where an original, English text is quoted the translations are mine.

Keywords: Lovecraft, gothic literature, cosmic horror, anthropocentrism